№ 209 10 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1879 10 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 209

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ეროვნულ დღეს ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ციცერონთი—5 კაპ., [illegible]—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეაკოლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. [illegible] სტატიები აქტრს [illegible] ბეჭდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

ოთხშაბათს, 10 ღვინობისთვეს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თეფილისის საზაფხულო თეატრში:

I

გაყრა

ქოშდენი ოთხს მოქმედებად თ. ბ. ერისთავის

II

დაკეტილ კარებთან

სცენა ერთს მოქმედებად წარმოდგენის შემდეგ უ. მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს და ბაბუნიას ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურეოვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

(3—3)

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—სამი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კეტერბურღი, 7 ოქტომბერს. 4 ოქტომბერს გარდაიცვალა მოსკოვში გამოჩენილი რუსის ისტორიკოსი სოლოვიევი.

საქართველო

სამღვდელოების კრება.

სხდომა 8 ოქტომბერს.

სხდომის გახსნის წინათ ვილაც ერთმა მღვდელმა გამოუცხადა თავისმჯდომარეს, რომ აქ გარეშე პირები არიანო და უმორჩილესად გთხოვთ განკარგულება მოახდინოთო, რომ ისინი გაიდნენ ზალიდამაო.

თავსმჯდომარემ თავის მხრით სთხოვა გარეშე პირთ, რომ ისინი გიიდნენ. ზალაში დარჩნენ მარტო დეპუტატები.

ჩვენ ძალიან გვაკვირვებს ამგვარი კარ-ჩაკეტილი და საიდუმლო მოქმედება სამღვდელოების კრებისა. ბევაკვირვებს კიდევ უფრო ის გარემოება, რომ თავსმჯდომარემ შეისმინა ერთის დეპუტატის მოთხოვნილება და სთხოვა ზალიდამ გამოსელა არათუ მარტო გარეშე პირებს, არამედ გაზეთის „თფილისის მოამბის“ წარმომადგენელსაც. თავსმჯდომარისა და ჩვენის სამღვდელოების საცნობლად საჭიროთ ვრაცხთ ესთქვათ, რომ გაზეთის წარმომადგენელნი არსად და არასოდეს არ არიან გარეშე პირნი და განსაკუთრებით ამისთანა საქმეში, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს. ბაზეთის წარმომადგენლებისათვის ყველგან ღია უნდა იყოს და არის კიდეც კარები, ყველგან უნდა შეეძლოს იმას შესელა და გაგება—თუ რა საზოგადო საქმეს რა მსვლელობა აქვს, როგორ კეთდება, რომ შემდეგ საქვეყნოდ გამოაცხადოს. საცა საზოგადო საქმე პატიოსნად და გონიერად კეთდება, იქ დასაფარავი და საიდუმლო არა უნდა იყოს-რა, იქ კარების ჩაკეტა ეჭვში შეიყვანს საზოგადოებას. ბისაც ნათელი ჭეშმარიტებისა, გამოაშკარებისა და ქვეყნის არ ეშინიან, ის თავის დღეში

ფელეტონი

ახალციხური ფელეტონი

წელს სთველმა ერთიანთუთად გარდამეტა წლევანდელ გაზაფხულს და ზაფხულსაცა. ეს მესამედ მაძღრისი წვიმა მოვიდა ახალციხეს და მის გარემოარემარე მთა-ბარებსა. ყველგან დასთესეს სთველის თესლი პური, ჩამოლაგდნენ მემთეულნი, დაირჩა თხა-ცხვარი, ოთხყურედ მოდებულ არიან ურიანი და სომხები, გარე ეჯარნი და სხვაც! თითქოს ფუთკარი მოდებულა მინდორველზედ თაფლის შესაკრებლად ყვავილებითგან და გაჭქონდეს ბზუვილით შედენ-გადენა, ისეთი ყოფა არის ხშირის მოძრაობითა!..

ხელ-ახლავ ამწვანდა შვენიერად მინდორ-ველი, მზღვრეები, ღელე-ხევნი, სერ-გორა-ბორცვნი. მოიმატეს მრავალგან წყაროებმა, ხევის წყლებმა; ღელეების ნაკადულთა გაჰქეთ სასიამოვნო ჩხრიალ-კრიალი. ბაღჩა, ხევნები, ტყემაღნარით შვენიერ ვეფხვის ტყავისავით შეჭრელდნენ თეთრად, ჩალის ფრად, ყვითლად და წითლად! საითკენაც გაიხედ-გამოიხედოთ, ყოველგან დაგხვედებათ თვალთ აღმტაცი და სულ-გული ატკბილად გამრთობი სანახაობა. მეტადრე დილა-საღამოს, ახალად მზის ამოსელისა და მზის დასვლისა, ბორცვ-გორა-ხევ-ღელეებთ მდებარეობს [illegible] ყუბ-წყობად ჩამონწკვრივებული ჩრ[illegible]ილები, ნოეტები, პუტპუტნი, კლდე-ლრ[illegible]ს შაშხანა ზოლები და მისთანანი ბ[illegible]ერით მომეტებულად უფრო რაფაელის [illegible] და მიქელანგელოს მხატვრობისა! ტკბ[illegible]ილი, ზომიერი ჰაერი, გრილი სიოს წ[illegible]ნი, ნოყიერი ჭირნახული, გემრიე[illegible]ი ხილი. შემაჭრებული საამურ ს[illegible]ამელი წყალი, ხალხის მოძრაობა და [illegible] ამისთანა წამ და უკურცელილება ხომზედ მეტი!..

ბინც იკადრებს ახალციხულ მსხმოვიარე ნამყენ ბაღჩებში შესელას, მგონი, რომ დიდხანს გარ გამოსელა აღარ მოუნდება; ღთიური დანერგული ედემის სამოთხის საუცხო შვენიერი შეხედულების ელფერი, სიტკბო, უცხო სუნნელება ცხოელად თვალწინ დაუდგება! ერთგან ჰხედამთ ხშირ მსხმოვიარე ვაშლ-მსხალსა თეთრ-წითლად და ოქროს ფრად ლაჟვარდთა დაუძენძია რტოები მძიმედ, ფოთლის დათვლა შეიძლება და ხილისა კი არა! მეორეგან მკრეფავი მუშები დახვევიან და პირმღიმარი მღერა-ღიღინით ჰკრეფენ! მესამეგან ფერადფერადათ შეხამებული ხილი ხვავ-ხვავად ანგვრევია, წითლად, თეთრად, ყვითლად, მოლურჯოდ და მომწვანედ!

ამათი ხედვა კაცს ქვეყნის შემოწოლილ ჭირ-ჭმუნვას იმ წამსვე გულითგან გარდუყრის და აღნატაც სულსა რალაცა

არ ჩაიკეტს კარებს და არ დაიმალება.

ამიტომ ჩვენ გვაკვირვებს და ვერ გავიგია ის გარემოება, რომ გუშინ დილით კრების თავსმჯდომარემ „თფილისის მოამბის“ წარმომადგენელსა და საღამოს არც ამას და არც „დროების“ წარმომადგენელს არ მისცეს უფლება სხდომაზე დასწრებისა. თავსმჯდომარის მოვალეობა არის კრებაში წესის დაცვისა, იმას ჰქონდა უფლება ისე მოქცეულიყო ამ შემთხვევაში, როგორც რიგი იყო...

თუმცა კრებაზე არ დავწერებივართ, მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერი დაწვრილებით შევიტყეთ. აი რა მოხდა გუშინდელს კრებაზე:

მთელის დღის განმავალობაში, დილას და საღამოსაც, გაცხარებული ბაასი და ხმაურობა იყო საეპარხიო საქალებო შკოლის ზედამხედველ ქალის არჩევაზედ.

ამას წინათაც იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, რომ ამ თანამდებობისათვის 8 კანდიდატი აღმოჩნდა. კრებამ განიხილა ყველა ამათი თხოვნა და დიპლომები და გარდაწყვიტა, რომ ამ რვა ქალში მხოლოთ ერთს უყაროთ კენჭი, სახელდობრ მოროზოვის ქალს, რომელიც ეს თხუთმეტი წელიწადია თფ. საქალებო ინსტიტუტში ყოფილა კლასნი დამად.

მაგრამ სწორეთ იმ დროს, როდესაც კენჭის-ყრაზე უნდა მივარდნილიყო საქმე, სამღვდელოების მომეტებული ნაწილის თხოვნით, მარიამ წერეთლის ქალი დათანხმდა, რომ შეეტანა თხოვნა და გაეცხადებინა სურვილი ამ თანამდებობის მიღებისა. ამ დროს კრებაში გავრცელდა ხმა, ეგზარხოსის სურვილი არისო, რომ ზედამხედველი ქალი უკანასკნელი 30 წლის უნდა იყვესო, წერეთლის ქალი „ზაგრანიცაში“ ნამყოფი არისო, ახალგაზდა არისო, გულ-მოდგინეთ ვერ ასწავლისო და სხვ.

დიდი ხნის აყალ-მაყალისა და ხმაურობის შემდეგ, თავსმჯდომარემ გამოაცხადა ბოლოს, რომ ხმები მოეკროვებინათ—თუ ვინ უფრო ჰსურთ ორ კანდიდატაში—მაროზოვის ქალი, თუ წერეთლისა? ახლა ამაზე ჩამოვარდა ბაასი—თუ როგორ მოაკროვონ ხმები. კიდევ ხმაურობა. ბოლოს გადაწყვიტეს კენჭით ამორჩევა.

თავსმჯდომარის წინადადებით პირველად მაროზოვის ქალს უყარეს კენჭი. ამოუვიდა 35 თეთრი და 31 შავი. როცა ამ პირველი კენჭის-ყრის შედეგი შეიტყეს, ყველას გასაკვირველად დაურჩა უფ. თავსმჯდომარის გამოცხადება, რომ ზედამხედველი ქალი ამორჩეული გვყავს, გავათავეთ, მაროზოვის ქალი ამოვირჩიეთ, ახლა სხვა საგნებს შეუდგეთო და სხვ.!

მომეტებულ ნაწილ მღვდლებმა შეჰქნეს საშინელი ხმაურობა: როგორ თუ გავათავეთ? ერთს უყარეთ კენჭი, ახლა მეორესაც უნდა უყაროთო! ახლა წერეთლის ქალის რიგიაო და სხვ.! მაგრამ თავსმჯდომარე მაინც თავისას არ იშლიდა: გავათავეთ, გავათავეთ! მთელი დილა, ნაშუადღევის ორ საათამდინ, ამ ხმაურობაში გავიდა.

ნასადილევის ხუთ საათზე კიდევ იყო ყრილობა დანიშნული. კიდევ ამ საგანზე უნდა ჰყოფილიყო სჯა. თავსმჯდომარე დაითანხმეს, როგორც იყო, რომ თუ წერეთლის ქალი დოკუმენტებს წარმოადგენდა, იმისთვისაც ეყარათ კენჭი. დოკუმენტები წარმოდგენილი იყო; მაგრამ, თუმცა მაროზოვის ქალს არავითარი დოკუმენტი არ ჰქონია, თუმცა სამღვდელოება გაცხარებით თხოულობდა, რომ ამისთვის ეყარათ კენჭი, თავსმჯდომარე კიდევ უარზე გადგა, იმას მიემხრნენ რამდენიმე მღვდლები, სხვათა შორის, მ. პავლიევი და რუსის მღვდლები, ზოგი ქართლელნიც და ამ ხმაურობაში, ბაასში ისე გაატარეს დროს, ოამის ათ საათამდინ, რომ წერეთლის ქალს კენჭი არ უყარეს.

სამეგრელო-იმერეთის სამღვდელოებამ გარდაწყვიტა, პროტესტი დასწერონ, წარუდგინონ ეგზარხოსს და თვითონ კი წავიდნენ შინ.

ჩვენ შევიტყეთ, რომ მაროზოვის ქალი დაუნიშნავთ ამ ზედამხედველის თანამდებობის დროებით მოვალეობის აღმასრულებელად.

ამ ნაირად გათავდა ეს სამღვდელოების ყრილობა. მომეტებული ნაწილი მღვდელ-დეპუტატებისა, განსაკუთრებით სამეგრელო-ზურაბისა და იმერეთისა დიდ უკმაყოფილებას აცხადებდა თავის თავსმჯდომარეზე. ამ სამდურავს, რამდენათაც ჩვენ შევნიშნეთ, ზოგიერთს შემთხვევაში საფუძველი ჰქონდა. ერთის თქმა შეიძლება შეუცდომელად: სხვა, უკეთესი თავსმჯდომარე რომ ყოლოდა კრებას, უფრო ბევრი სასარგებლო რასმეს გარიგება შეიძლებოდა...

დღიური

*** ზუშინდელს სხდომაზე ქალაქის რჩევამ კენჭის-ყრით გამოირჩია ა. ა. თამამშვილი ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელად, და სტ. ს. სარქისოვი გამგეობის წევრის კანდიდატად. ამ ამორჩევას მეტი, სხვა არაფერი ყურადღების ღირსს საგანაზე არ ყოფილა სჯა გუშინდელს რჩევის სხდომაზე.

*** ამ თვის 13-ს თფილისში იხსნება ახალი კლუბი—პრიკასჩიკებისა, რომელშიაც ყველა წოდებისა და ხელობის კაცს შეუძლიან წევრად ჩაიწეროს. სტარშინებათ, სხვათა შორის, ამორჩეული არიან თ. ი. ზ. ჭავჭავაძე, თ. კ. ა. ბებუთოვი, ა. ზ. ჩოლაყაშვილი ს. ი. შაბუროვი და სხვ. კლუბის წევრებისათვის „გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის“ დაარსებაც და აგრეთვე საზოგადო

გულში გაუტარებელ განსაცვიფრო ოცნებაებს მისცემს!..

ამათმა სიტკბო-თვალთ-მაქცმა შვენიერებამ მეც გამიტყვილა კიდეე ახალციდგან; მაგრამ თავიანთ გულისად კი ვერ მიმიზიდა თავიანთკენ; ვიცი, რომ უბრალო მზერა, ხედვა, სუნნელება სრულ არ დამაკმაყოფილებს!.. მე სული სრულ სხვაგან ძიერის, უთუოდ ჩემი დაჩაგრულ-დაჯაბნილი გული მხოლოდ ჩვენი ძველი მამა-პაპების მოსახსენებელი ძეგლ-წერილებით გათბება, ისინი არიან სააქაოს ჩემი ტკბილი საზეპირო-სატრფიალებელნი და საიქაოსაც იმათ ტკბილს უბეში უნდა განვისვენო საუკუნოდ ღვთის მადლითა!

ეს ხომ ჩემთვის ასრე არის, რაღად მოვყოლივარ ჯდაბნას? მინ თანაგრძნობს და ან თუ კიდევაც მყავდეს მოძმე-მოყვარენი, რას მომიმატებენ თანამოზიარულობითა? სრულ არაფერს. მაგრამ მე მინდა ჩემთან ჩემი ტკბილის სამშობლოს თანა მემამულე ძმანი ყოველნივე მივიმხრო: ერთნი ვიყვნეთ ყოველ კეთილს საქმესა, ჭირსა თუ ლხინში, ჩვენის სამშობლო მამულის წარსამატებლად...

დღევანდელი დღეც გუშინდელსა ჰგავს; მაგრამ საქმით კი გარჩეულია; გუშინ კუტ-საპყრობივით უქმად დავაღამეთ მრთელი დღე სახლში სხვაგან წვეულად და დღეს კი ცხენები მზა გვყავდა, შევსხედით და გავსწიეთ.

სოფ. უდითგან მეიდნის ხიდისაკენ, ავედით მცირე-სმადას, რომელიც დიდ-სმადას შორავს სამიოდე ვერსითა. აქაური მცირე ეკკლესია დაურღვევიათ ადგილობრივ მდგმურ მაჰმადიანთა და ქვები მოურიგებიათ თავიანთ სახლ-კარის შენობაზედ. ამ სოფელშივე არის ერთ მომაღლო გორის ჭინჭრიხზედ საწერეთოს ეკკლესია; ამის გარე კედლის ქვებიც შემოუცლიათ და ნახევარ კედლებიღაა დაშთენილი კირისა, და ნაწერი სადღა იქნებოდა?

საწერეთოს მიღმა ალთუნ-ყალაა, საშინელ წრიაპ შეუვალს კლდეზედ მდგარი; მეტად ამაყად ვეშაპისავით თავ-აღებული გარდმოსცქერის არა მარტო მრთელ ძვაბლიანის მაზრას, არამედ ახალციხის და აბასთუმნის მიდამოებსაცა თავის ვრცელ ადგილ-ადგილ ნაქცევს გალავანებითა. ამის მახლობლად მდებარობს სოფელი შოყა მცხოვრებლებით და მის მახლობლად ძვაბლიანი ნაოხარი, რომლის ჩინებულებით მრთელ მაზრას მის სახელი დარქმეულია.

90 წლის შემდგომ ქრისტეს რიცხვისა, როცა სუმბატ ბივრიტიანმან სომხის მეფის სარდარმან გაიმარჯვა ქართველთ მეფეების მოკავშირე ლეკთა და ოსებზედა, შერიგებაში ოსის მეფის ასული სათინიკა სომხის მეფის სძლად მიიყვანა და ქართლის მეფეთ ჩაუდგა სამეფეს. ადრე რომ ღალატით ართაანის ციხე და წუნდის ციხე დაეპყრა ქაჯნი (გმირები) ჩაეყენებინა, ამ გზისაც ეს

ლექციების გამართვას ისეთს საგანზე, რომელნიც მოხელე ხალხისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ.

*** ქახეთიდამ გვწერენ, რომ მთელი ენკენისთვის განმავლობაში აქეთკენ განუწყვეტლივ სწვიმდა და ამის გამო ხვნა შეჩერებულია და გლეხი-ხალხი ძალიან შეწუხებულია, რომ მიწები ვერ დაგვიხნავსო. ამას გარდა ზოგიერთ სოფლებში წვიმებს ბევრი სახლები დაუქცევია.

*** თელავიდამ გვწერენ, რომ ერთ იქაურ ყმაწვილ კაცს უფ. ხირსელს წიგნის სავაჭრო მაღაზია გაუხსნია, რომელშიაც თითქმის ყოველ გვარი ახლად-გამოცემული ქართული წიგნები მოიპოვება გასასყიდელიო.

*** თელავიდამვე გვაცნობებენ, რომ იქაურს სობოროში აღმოჩენილა ძეთევან დედოფლის სურათი იმ დროინდელი, როდესაც ის განამზადეს სპარსეთში წასაყვანად სატანჯველად. ამბობენ, რომ ეს სურათი ერეკლე მეფეს შეუწირავს თელავის სობოროსათვის.

*** გაზეთს „კავკაზში“ ბურიიდამ იწერებიან, რომ სოფ. სამღვეთოსთან აღმოჩენილა ნავთის წყარო, რომელიც ვიღაც ინჟინერს პალაშკოვსკის შეუძენია და რომელზედაც ამჟამად მუშაობა დაუწყიათ. ამბობენ, რომ ამ წყაროდამ ბლომათ ამოდის ნავთიო.

*** ბაქოს გაზეთში დაბეჭდილია, რომ იქაურს პოლიცმეისტერს დაუჭერია ერთი 25,000 მანეთის ქურდი. აი იმ საქმის გარემოება როგორ ყოფილა:

ბაქოში ჩამოსულა ქრასნოვოდსკიდამ ერთი ხივინელი მდიდარი კაცი, ქარვანის უფროსი ხაკიმ-ბეი ბაბაევი, რომელსაც რაღაც პოდრიადის ფული, ოცდა-ხუთი ათასი მან. მიუღია იქ და ჩაუდვია ჩემოდანში ეს ხივინელი ერთს თავის ნაცნობ შემახელ სომეხთან ყოფილა ჩამომხტარი. ფულის მიღების მეორე დღეს ის ისევ უკან დაბრუნებულა ქრასნოვოდსკში; იქ გაუხსნია ჩემოდანი, მაგრამ ცარიელი დახვედრია ფული ალარ იყოფო. იმ წამსვე დაბრუნებულა ისევ ბაქოში; მისულა თავის მასპინძელთან—რასაკვირველია, უარი უთქვამს შემდეგ პოლიცმეისტრისათვის გაუმჟღავნებია თავის ეჭვი იმ შემახელ სომეხზედ. პოლიცმეისტერს მოუხმია სომეხი, უკითხავს, ჩვენება ჩამოართვა; მაგრამ ვერა შეუმჩნევია-რა. ბოლოს სომეხს შეუძლევია იმისთვის 10,000 მანეთი იმ პირობით, რომ ეს საქმე ჩაფარცხეო. პოლიციმეისტერს დაუნიშნავს დრო: ამა და ამ დროს მოვალ შენთან, ფულები ჩამითვალე და საქმეს გავაოავებო. დანიშნულ დროს სამი სანდო კაცი წაუყვანია თან, დაუმალავს და სწორეთ იმ დროს, როდესაც სომეხი ფულს უთვლიდა პოლიცმეისტერს, ეს კაცები შემოცვივნულან, ფულებისთვის დაუვლიათ ხელი და თვითონ ის სომეხიც დაუჭერიათ. ამნაირად სულ 25,000 მანეთი იმწამსვე ჩაუბარებია თავის პატრონისათვის და ქურდი კი დაუჭერიათ.

„დროების“ კორრესპონდენცია

სართიჭალიდამ, 25 სექტემბერს. ქალონია სართიჭალა მდებარეობს თფილისის მოშორებით ოც-და-ათი ვერსით, ივრის ხეობაზე, აქეთ მხარეს, რომელსაც რწყავს ივრისავე ნოყიერი მდინარე. აქ მოსახლეობენ ნემცები და ქართველები. ნემცები აქ გადმოსულან 1850 წ. ვარონცოვს გადმოუყვანია.

ერთის შეხედვით კაცი ვერ წარმოიდგენს, რომ ეს აქაური ნემცები მარტო ამ ოც-და-ათის წლის წინეთ უნდა იყვნენ მოსულნი: ყველას აქვს მშვენიერად გაკეთებული სახლები, კრამიტის ყავრულებით, წინ დიდი ბაღი, ბალი, მარანი და იქვე მარჯვენივ ბალი, ... კაცს გაუწყვეტლივი მუშაობა და ივრის ჭალაშიაც ფურგუნებით გასელა-გამოსელა; თვალ უწვდენელი მინდვრები, ბალები, შუაში დიდი ქუჩა, მარცხენა მხარეს მშვენიერი ეკკლესია, ეკკლესიის გვერდით მკოლა და მრავალი კიდევ საზოგადო სახლები.

სართიჭალის ქართველების მდგომარეობა მეტის-მეტ საშწუხარო სურათს წარმოადგენს; ამ უკანასკნელს ქაქს მაინც ერთობ დაეცნენ და დაღარიბდნენ: ჯერ პირველათ 1850 წლებში დაყიდეს მამულები; და ამ მამულებს, რომელშიაც მაშინ 50 მანეთი ან ცოტა მეტი აიღეს, დღეს ნემცები სამას-ოთხას თუმნებს აფასებენ.

ახლა აქაური ქართველები იმ მამულებსაც კი ჰყიდიან, რაც თითო ოროლა დაუნარჩუნებიათ თავიანთვისა და თითონაც მოჯამაგირეთ უდგებიან ნემცებსა; დღესაც უკანასკნელს ნემცესა ჰყავს სახლში ქართველი მუშად დაქირავებული.

გასაკვირველია აქნობამდის ჯერ ერთ ქართველსაც არ მიუბაძნია ნემცებისთვის და არაფერი გაუკეთებიათ ნემცებისებურად. ისევ ასე მამა-პაპურს ადათზე და წესზე ცხოვრებენ, სახლები მიწეში აქვთ ჩაკრული, გარეშამო ცარიელი მიწა, ეკკლესიაც ღარიბი, არც მკოლა და სხვ.

აქაურს ჩვენს გლეხებთან კაცმა რომ დაიწყოს ლაპარაკი და ჰკითხოს თუ—ნემცები ასე კარგათ ცხოვრებენ და თქვენ რათ ცხოვრებთ ასე საცოდავათა, რათ დაგიყიდნიათ მამულებია,—მაშინათვე ამას მოგიგებენ, რომ რა ვქნათ, შენი ჭიიმეო, მკოლა არსაიდამ არის ჩვენთვისაო, ეკკლესიაო, ერთი და მეორეო, მღვდელი არაფერს გვეუბნება და ერთს, ერთი დამრიგებელი და მასწავლებელი არავინა გვყავს და რა ვქნა-

---

ქვაბლიანი დაიჭირა და აღაშენა ეს ციხე ამ კლდეზედ, რომელსაც მაშინ დემოთის კლდე რქმეია. „მაშინ სუმბატ გამარჯვებული შევიდა ქართლად, მოაოხრა ქართლი, რომელ ჰპოვა ქალაქთა და ციხეთა გარე, არამედ ციხე ქალაქთა არა ჰბრძოდა... აღაშენა ციხე ერთი ოძრხისსა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვიან დემოთი მოკიდებულად მთასა დადოდსასა, და დაუტევა შიგან ლაშქარნი შემწედ წუნდელთა, რამეთუ ბრძოლად ოძრხელთა წარვიდა. („ქართ. ცხოვრება“, 50 გვერდი).

ეს ციხე 24 წელი დარჩა სომხების ხელში. სომხის მეფეს არტაშანს ოსის მეფის ქალისაგან შეეძინა არტავაზი, ვრური, ტირანი, მაჟანი და ხარენი; როცა უმფროსი შვილები სუმბატთან ერთად სპარსეთში იყვნენ გალაშქრებული, აქეთ ქართველთ რბევა-ოხრებით გაანჩხლეს სომხის მეფე.“ მაშინ არტაშანმან მეფემან სომეხთან შეჰკრიბნა სპანი, რომელნი შინა დარჩომოდეს, მისცა ძესა თვისა ხარენს და წარმოაგზავნა ქართველთა ზედა; ხოლო შეკრიბეს ქართველნი და ოსნი და მიეგებნეს ქვეყანასა ჯავახეთისასა და ეწყვნეს, სძლიეს ხარენს და აოტეს, მოსრეს სპა მისი ყოველი... მიეწევნეს ხარენს და შეიპყრეს იგი ტბისა მის პირსა, რომელსა ჰქვიან ცელის-ტბა (ხანჩალლის გალა)... ამისთვის სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა ქალაქი წუნდა, ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტაანი. (51 გვერდი „ქართლის ცხოვრებისა“).

ამ ციხეს ალთუნ-ყალა მით დარქმევია, რომ დროთა და დროთ განმავლობაში მის გალავნის კედლებში დიდძალი ოქროს საუნჯები აღმოჩენილა ადრეც და ოსმალოების დროსაც უფრო; უკანასკნელად 1857 წ. აღმოჩენილა ამ რიგად: რამე ბრალისთვის ორი შოველი მაჰმადიანები დევრიშ-ოღლი და როსტომაშვილი ფურცელაძე თფილისს ნარიყალაში დატყვევებიან; ამათ მიეჩვევა ვიცლა თფილისელი მოხუცი, ვალ-ვალ სასმელ-საჭმლით პატივ სცემს და ბოლოს საუბარში მოიტანს სიტყვას და აჩვენებს წერილით ნიშნობრივ ადგილს, სადაც ოქროს საუნჯე შენახულია ამ ალთუნ-ყალაში. დრო მოვა ამათ განთავისუფლებისა. მოსელისავე ს. შოყას, მაშინვე მიჰმართვენ ეს ორნივე იმ ნაჩვენებ ადგილას; ცოტა ჩამოაქცევენ თუ არა, აღმოჩნდება დიდძალი ოქრო. ამბობენ, ვითამ ქვაზედ ნაწერიც ყოფილიყოს, მაგრამ დაუქანჯიათ არ განსაცხადებლად საქმისა. მაინც შეუტყვია სოფლის მებატონე ალი-ბეგს და 120 ოქრო მიურთმევიათ: აგერ ამის მეტი არა იყო-რაო, და მიუძინებიათ საქმე. ასრე მიფანიერებულა საზოგადოების საკუთრება კერძო პირებისაგან.

(დასასრული შემდეგში)

თო, კვირა გაივლის და თვე, რომ მღვდელს თვალით ვერა ვნახავთო, და ნემცებიც რომ აქ არ იყვნენ, სულერთიანათ ამოვწყტებითო, რადგანაც სული ამათგან გვიდგიაო... მათ ჩვენთვის მამულები ძალათ არ წაურთმეიათო, გაგეჭირვებია ფული დამარხვის დროს, ანუ სხვა რას სახელმწიფო ბეგრის გარდასახადის ჟამსა, მიესულვართ და ჩვენის ხელით ჩვენი თავები დაგვიღუპავს და დიდ და ძვირფასიანი მამა-პაპეული მამული ხუთსა და ექვს თუმნათ გაგვიყიდნიაო. ასე ამბობს და იმართლებს თავს აქაური ქართველი კაცი. ამას გარდა აქაც მოულწეეიათ კარაპეტებს, პოლოსებს და მიკირტუმ ბასპარიჩებს; მაგრამ ნემცების გვერდით დასახლება კი ვერ მოუხერხებიათ.

აქ დუქნებიც არის, თავის რჩენაც შეიძლება, ზაფხულობით რჩენაცა; მაგრამ ქართველების ცხოვრება კი სამწუხარო სურათს წარმოადგენს, რამდენიმე ხნის შემდეგ მგონია, ამათ აქედამ სულ გარდასახლებაც მოუხდებათ.

ზ. მთაწმინდელი.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაიალი დეორების პატრონებ, რომ, თანახმად ტრაქტირების წესების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. მინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დეორებს უპრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

(3—1)

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხვინოვის სახლებში, ივანე **კურწოვის** მაღაზიაში ისყიდება ნამდვილი, თეთრი **წმინდა** (თაფლის) **სანთელი**

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფროიაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე **თფილისშიაც**, სიონის ულიცაზედ, ოანანოვის ქარვასლაში.

(10—10)

თფილისის ქალაქის თავისაგან

თფილისის ქალაქის თავი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ მდგომარე ღვინობისთვის 9-ს **თ**ფილისში მოვა **უ მ ა ღ ლ ე ს ა დ** დამტკიცებული სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის პოდკომისია დასახედავად ფოთი-**თ**ფილისის რკინის გზისა და მისაღებად იმ საჩივრებისა (ნაწერის და სიტყვიერის), რომელიც კი ექნებათ როგორც პასაჟირებს, ამ გზაზე მოგზაურობს, აგრეთვე საქონლის გამგზავნ-გამომგზავნით. ამის გამო ქალაქის **თ**ავი ვალად რაცხს შეატყობინოს ყველა უწყებათა და კერძო პირთ, რომელთაც ამგვარი დაწერილი ანუ პირადი საჩივრების განცხადება პირ-და-პირ პოდკომისიისათვის, რომელიმე მიზეზის გამო, არ ეხერხებათ, რომ ეს საჩივრები გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში (უპრავაში), რომელიც იმათ თავის დროზე თვითონ გარდასცემს ხსენებულ პოდკომისიას.

(3—3)

ქართული წერის სასწავლი

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯულელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,

ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქეკელიასთან შკოლაში,

ო ზ ო ურ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,

ხ ო ნ შ ი: უფ. ჭალაგანიძესთან,

ბ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,

თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. ქ. ბალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
უვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
უვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა **თ**ფილისიდამ		
** კ**ავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, **ო**დესას, **მ**ოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, **ვ**არშავს	2	—
ოსმალეთში, **შ**ვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და **ს**აფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) **თ**ფილისიდამ: **ს**ამზღვარგარეთ, **ქ**უთაისს, **რ**უსეთს—ყოველ ღღე კვირას გარდა. **ზ**უგდ. ორშ. და ხუთშ. **ო**ზურ.—პარასკ. და ორშ. **ბ**ზეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქ**უთაისიდამ: **თ**ფილისისა და **ფ**ოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. **ო**ზურგეთს—ორ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა **რ**უსეთ**ში**	
და **ს**ამზღვარ გარეთ:	
ლია **წ**იგნის	3
და**ბ**ეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 9 ოქტომბ.	—	—
ფქვ. თეთ. **ბ**ანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. **წ**ითელი . .	2	20
ქერ ფუთი . . .	1	40
ბამბა **ერ**ევნისა, ფუთი.	8	65
—**ა**მერიკისა, ფ**უ**თ .	9	30
ბა**ენ**ტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი **თ**უშური ფუთი.	8	20
—**თ**რაქამ**ს**ა ფუთი .	3	70
აბრეშუმ**ი** ნუხური ს**ტ**.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი **ძ**როხისა ,ლიტრა	—	—
—**ც**ხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შა**ქ**არ **ბ**როც. ფუთ .	7	25
—**ფ**ხვნილ**ი** ფუთი .	5	70
უა**ვ**ა **რ**ბევალი **გ**რვ. .	—	65
ზეთი **ქ**ონჯუთისა ფუთი.	14	—
მამბა**ქ**ო **ხ**აშუალო ფ**უ**თ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. **მ**ედ., **წ**ინამძღვაროვ. **ხ**ახლი. **ა**ვათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: **ლ**ისიცევი და **ბ**არალევიჩი—**შ**ინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: **ვ**ერმიშევი **შ**ინაგ. ავათმყოფ.; **რ**ეიხი—**თ**ვალის, **ჭ**ურავლევი—ვენერიულის, და კანისა; **ბ**ა**ბ**ოვი—**გ**ულისა და **შ**ინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: **ლ**ისიცევი—**შ**ინაგ, **ა**სტეფა-**ც**ტეროვი—ქალისა და **ბ**ავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: **ვ**ერმიშევი—**შ**ინაგ. ავათმყ. და **ჭ**ურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ებ ი ან: **ლ**ისიცევი, **შ**ინაგ.; **ა**სტეფა-ცატეროვი—ვენერ. და კანის; **ბ**ა**ბ**ა**ევი—**გ**ულისა და **შ**ინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: **ვ**ერმიშევი, **შ**ინაგ.;**ჭ**ურავლევი.—ვენერ. და კანის **რ**ეიხი—**თ**ვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Октября 1879 г. Типографія Меликова. ბ.ბ.ომ.ც. ს. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. რ ე დ. ს. მ ე ს ხ ი.